# ბრძანება N 46850

16/12/2015

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული ქონების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გადაცემის შესახებ**

"სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის #302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის 1, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის #303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "უ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გადაეცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, უსასყიდლოდ, უვადოდ, სარგებლობის უფლებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული ა/მანქანა:

- "მიცუბიში პაჯერო", სახ. ნომრით XCX-303, საიდენტიფიკაციო კოდი JMYLRV95WBJ705942, გამოშვების წელი 2011, საწყისი საბალანსო ღირებულება 20500 ლარი, ნარჩენი ღირებულება 20500 ლარი;

2. შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ (სამმართველოს უფროსი გივი ცქვიტინიძე) ურზუნველყოს ბრძანების 1 პუნქტში მითითებული ქონების გადაცემა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველომ (სამმართველოს უფროსი ზაქარია წითლაური) უზრუნველყოს ამ ქონების მიღება;
3. შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს უფროსმა გივი ცქვიტინიძემ და ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა ზაქარია წითლაურმა უზრუნველყონ ამ ბრძანების 1 პუნქტში მითითებული ქონების ფინანსთა სამინისტროსთვის გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერა;
4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს სოფიო ვაჩაძეს;
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი